# იერიშზე – მცველები, ნახევარმცველები…

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 16 ივლისი.

“დინამო” (თბილისი) – “ზენიტი” (ლენინგრადი) 2:0 (1:0).

“დინამო”: გოგია, სულაქველიძე, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე (კაკილაშვილი), მინაშვილი (გ. მაჩაიძე), ჩივაძე, კოპალეიშვილი.

“ზენიტი”: ტკაჩენკო, დავიდოვი, ნემცოვი, გოლუბევი, ბონდარენკო, რასპუტინი, ლაგოიდა (რედკოუსი), კაზაჩონოკი, მელნიკოვი (დეგტიარევი), ზინჩენკო, კლემენტიევი.

მსაჯი: ნ. ჟიხარევი (მოსკოვი).

გაფრთხილებულია ზინჩენკო.

ფეხბურთის მოყვარულებმა იციან, რომ ეს მატჩი 13 აგვისტოდან, ?9 ტურიდან იქნა გადმოტანილი 16 ივლისისთვის, ვინაიდან თბილისელებს 11 აგვისტოს სსრ კავშირის თასის ფინალური თამაში ჰქონდათ ჩასატარებელი მოსკოველ თანაკლუბელებთან. გათამაშების კალენდარში ასეთი ცვლილების შეტანა თავისთავად არავითარ პრეტენზიას არ იწვევს, მით უმეტეს, რომ 16 ივლისი წინასწარ იყო დაგეგმილი სარეზერვო დღედ, მაგრამ კორექტივი, სამწუხაროდ, დაემთხვა პერიოდს, როცა თბილისის “დინამო” უმძიმეს კრიზისს განიცდის შემადგენლობის მხრივ ძირითად მოთამაშეთა ავადმყოფობის გამო. ეს განსაკუთრებით ეხებათ თავდამსხმელებს. წინა მატჩში ბაქოს “ნეფთჩისთან” დინამოელებს წინა ხაზზე ჰყავდათ მხოლოდ ერთ ნამდვილი ფორვარდი – ჩელებაძე, ამჯერად შემადგენლობას ჩელებაძეც გამოაკლდა და გუნდი იძულებული იყო საპასუხისმგებლო მატჩი ჩაეტარებინა საერთოდ უფორვარდოდ, შეტევის ფუნქციები კი გაენაწილებინათ დაცვისა და ნახევარდაცვის მოთამაშეთათვის. ასეთი დავალების შემსრულებელი სავბეკები თბილისელებს ჰყავთ (მ. მაჩაიძე, დარასელია, ქორიძე), სტოპერის პოსტიდან სპეციალურად წინ იქნა გადაყვანილი ჩივაძე და როგორც მატჩის მსვლელობამ ცხადყო, შემადგენლობის ამ ვარიანტმა საბოლოოდ გაამართლა კიდეც. მატჩი მასპინძლებმა საკმაოდ დამაჯერებლად მოიგეს და რომ ცალკეული გამოუყენებელი მომენტები არა, განსაკუთრებით ბოლო წუთებზე, მოგება დიდი ანგარიშითაც შეიძლებოდა.

თამაშის პირველი 15–20 წუთი ფრთხილ პოზიციურ ბრძოლაში მიმდინარეობდა, დინამოელები შეტევაში მცირე ძალებით იბრძოდნენ, მაგრამ გუნდმა თანდათან მიაღწია საფუძვლიან ტერიტორიულ უპირატესობას და 25–ე წუთზე მ. მაჩაიძემ ზედიზედ ორჯერ მოსინჯა “ზენიტის” მეკარის ძალები. ტკაჩენკომ ორჯერვე საუკეთესოდ ითამაშა.

სახიფათო მომენტები იყო “დინამოს” კართანაც, ჯერ კაზაჩონოკმა ააცილა მიზანს, მერე გოგიამ აიღო კლემენტიევის მიერ თავით დარტყმული უძნელესი ბურთი.

ტაიმის ბოლოს მასპინძლებმა უფრო გაბედულად შეუტიეს, რამდენიმე სწრაფი კომბინაცია გაითამაშეს და 43–ე წუთზე შედეგსაც მიაღწიეს. კუთხურიდან მოწოდებული ბურთი კოპალეიშვილმა კარში  დაარტყა, ტკაჩენკომ შეძლო მისი მოგერიება, მაგრამ ჩივაძემ ყველას დაასწრო და გახსნა ანგარიში.

შესვენების შემდეგ თბილისელებმა კიდევ უფრო მოუმატეს ტემპს, “ზენიტის” საჯარიმო მოედანზე ხშირად გადიოდნენ ნახევარმცველებიც, მცველებიც, გოლის

გატანის უეჭველი შესაძლებლობა მიეცათ დარასელიას, მ. მაჩაიძეს, კოპალეიშვილს. სტუმრები ძირითადად მხოლოდ იცავდნენ თავს. გამარჯვებას 75–ე წუთზე წერტილი დაუსვა დარასელიამ, რომელმაც კარგად ითამაშა რთულ სიტუაციაში და მეორე ბურთი გაგზავნა "ზენიტის" კარში.

რ. ქორიძე.
"ლელო", 18 ივლისი, 1979 წ.